ბრიტანული კინოსთვის 1980-იანი წლები შეკვეცის, ეკონომიისა და ცვლილებების ათწლეული იყო. დიდი ბრიტანეთის სალაროებში შემოსული თანხები 1980 წლის 101 მილიონიდან 1984 წელს 54 მილიონამდე დაეცა. ვიდეომ და ტელევიზიამ გავლენა იქონია გართობის ინდუსტრიაზე. კინოს წარმოებაში, იმ ეპოქის გამორჩეული საპროდიუსერო კომპანიები - Goldcrest, Handmade, Palace და Working Title - ზოგადად ბევრად უფრო მცირე მასშტაბით მუშაობდნენ, ვიდრე მათი წინამორბედები.

თუმცა, დიდ და პატარა ეკრანებს შორის მეტი ურთიერთქმედებით გამოირჩეოდა მეოთხე არხი, რომლის დებიუტი 1982 წლის ნოემბერში შედგა და იგი მალე იქცა ბრიტანული კინოს მსხვილ მოთამაშედ. ამით ბევრმა მცირე დამოუკიდებელმა საწარმოო კომპანიამ ისარგებლა. Amber Films-მა, Ceddo-მ და Sankofa-მ წარმოადგინეს ნანატრი მტკიცებულება იმისა, რომ ადგილობრივ პრობლემებზე ორიენტირებული ფილმები და შავკანიანთა კინოწარმოება ბრიტანეთში აყვავებული იყო. ისეთმა ფილმებმა, როგორიც არის ექსპერიმენტული ფილმი-ესე "Handsworth Songs", გადაღებული ინოვაციური Black Audio Film Collective-ს მიერ, გამოავლინეს მზადყოფნა გამკლავებულიყვნენ ისეთ საკითხებს, რომლებსაც მთავარი ბრიტანული პროდიუსერული კომპანიები თავს არიდებდნენ.

ამ ათწლეულმა ბრიტანეთის საუკეთესო ფილმის აკადემიის ჯილდოს სამი გამარჯვებული იხილა. რიჩარდ ატენბოროს 1982 წლის ეპიკური ბიოგრაფიული ფილმი „განდი“ (1982) და ბერნარდო ბერტოლუჩის 1987 წლის ბრიტანული ერთობლივი ნამუშევარი „უკანასკნელი იმპერატორი“ შესაძლოა ბრიტანული კინოს აღორძინების მაუწყებელი ყოფილიყო. თუმცა, 1981 წელს, პირველი გამარჯვებული სწორად "ცეცხლოვანი ეტლები" გახდა, რომელმაც ათწლეული ტრიუმფალურად და პატრიოტულად დაიწყო.

ფილმის რეჟისორი დებიუტანტი კინორეჟისორი ჰიუ ჰადსონი, ხოლო სცენარის ავტორი კოლინ უელენდი იყო, რომელსაც ხელი ჰქონდა გაწაფული ბრიტანული ტელევიზიისთვის სცენარების „სავარძლის თეატრი“ და „ითამაშე დღეისთვის“ წერაში. ეს ბრიტანული ისტორიული დრამატული ფილმი დაფუძნებულია ორი ბრიტანელი სპორტსმენის რეალურ ისტორიაზე, რომლებიც 1924 წლის პარიზის ოლიმპიადაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

პროდიუსერმა და ფილმის შემქმნელმა დევიდ პუტნამმა განაცხადა, რომ ”ფილმები უნდა იყოს გამოყენებული იმის საჩვენებლად, თუ რა არის საუკეთესო საზოგადოებაში, ან რა შეიძლება იყოს ასეთი, ხედვისა და ნებისყოფის მქონე განსაკუთრებული მამაკაცისა თუ ქალის მაგალითის გათვალისწინებით”. ფილმში მონაწილეობს ჰაროლდ აბრაამსი, ინგლისელი ებრაელი, რომელიც დარბის ცრურწმენების დასაძლევად (რომელსაც თამაშობს ბენ კროსი), მისი მეტოქეა ღვთისმოშიში შოტლანდიელი ქრისტიანი ერიკ

ლიდელი, (ითამაშა იან ჩარლსონმა). ორივე მამაკაცი გადალახავს დიდ სირთულეებს, რათა გაიქცნენ და გაიმარჯვონ თავგანწირვისა და მორალური გამბედაობის წყალობით.

ეს არის ფილმი ბრიტანეთის კლასობრივი დაყოფის შესახებ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, იმ წლებში, როდესაც საფრანგეთში ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, ისტებლიშმენტი ცდილობდა თავისი თავის აღდგენას.

კინემატოგრაფია დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანის სახის ზუსტ დეტალებს სტრესის, ტკივილის, დამარცხების და საბოლოოდ, გამარჯვების სიხარულის დროს.

მთავარი ეპიზოდი ალბათ, ნელი მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი მაგალითია მთელ კინოში, სადაც ნაჩვენებია ახალგაზრდების აღლუმი. ისინი ქვიშასა და ტალღებში სირბილით ახალგაზრდობასა და ათლეტიზმს ზეიმობენ; მოქმედების თანმიმდევრობა, ასევე, სარკესავით ასახავს 1920-იანი წლების ბრიტანეთში კლასების და პრივილეგიების რეალიებს.

ბრიტანელი უილიამს ბლეიკის "იერუსალიმი", რომელიც მოურიდებლად ადარებს ინდუსტრიულ რევოლუციამდე პერიოდის ინგლისს ბიბლიურ იერუსალიმს, წარმოადგენს სამოთხის პოეტურ მეტაფორას ძლიერი შტრიხებით. ეს ამაღელვებელი მასალა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის ბნელ დღეებში გამოიყენებოდა ხალხის სულისკვეთების ასამაღლებლად და რომელიც შემდეგ, გამოყენებულ იქნა ქალთა ხმის უფლების მოძრაობის მიერ, როგორც ჩანს, შესაფერისია სპორტსმენების გამბედაობისა და სიმტკიცის გამოსახატავად. ფილმის ბოლოს გაისმის ჰიმნი, რომელიც შეიცავს ფილმის სათაურს სტრიქონიდან: „მომიყვანეთ ჩემი ცეცხლოვანი ეტლი!“

ფილმმა ოსკარის ოთხი ჯილდო მოიპოვა: სცენარისთვის, კოსტიუმების დიზაინისთვის, ორიგინალური მუსიკისთვის და საუკეთესო ფილმი პროდიუსერ დევიდ პუტნამისთვის, რამაც მწერალ დევიდ ველანდს უბიძგა გამოეცხადებინა, რომ "ბრიტანელების დრო დადგა!"

Co-funded by the European Union
Creative Europe MEDIA